



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87.87213562

თარიღი:22/12/2021

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 16**

ქ. ახმეტა 17 დეკემბერი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი;
ლ.ვახეიშვილი; შ.ხოხობაშვილი; გ.ბართიშვილი;
თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იჩუაძე;
გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური;
ე.ბალაგაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური;
გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი; თ.მოზაძე;
შ.ტერტერაშვილი; გ.შორთიშვილი; ლ.მუთოშვილი;
გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვედიშვილი;
კ.მაზიაშვილი; ს.ბაბულაიძე; ე.ფეტვიაშვილი; კ.მუხაური.

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

დღის წესრიგი

**1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

/მომხსენებელი -ვანო ნასყიდაშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების

2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - დავით აბულაძე /

6. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანჟირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

7. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 18 (ი. ქარუმაშვილი; დ. ავაზაშვილი; გ. ონიაშვილი; გ. ქიბროწაშვილი; ლ. ვახეიშვილი; შ. ხოხობაშვილი; გ. ბართიშვილი; თ. ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ. იხუაიძე; გ. შაშიაშვილი; კ. მამულაშვილი; ზ. უძილაური; ე. ბალაკაშვილი; ბ. კაიშვილი; ზ. ფიცხელაური; გ. მამუჩარაშვილი; რ. განუაშვილი;)

წინააღმდეგი - 1 (შ. ტერტერაშვილი)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 9 (თ. მოზაიძე; გ. შორთიშვილი; გ. უძილაური; ე. მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ. მაზიაშვილი; ს. ბაბუღაიძე; ე. ფეტვიანი; კ. მუხაური.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

სხდომაზე შემოვიდა ლუიზა მუთოშვილი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი -ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე წევრებს ინფორმაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების შესახებ.

წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით,რომელიც შეადგენს 219,9 ათ. ლარს.

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით გამოყოფილი თანხა შემცირდა 67,2 ათ. ლარით (ჩატარებული ტენდერებიდან დარჩენილი ეკონომიის გამო).
2. „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის მოცულობა შეადგენს 178,0 ათ. ლარს, რომლითაც ფინანსდება თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია
3. 2021 წლის 4 თებერვლის №147 განკარგულებით:
 - მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით დამატებით გამოიყო მიზნობრივი ტრანსფერი 10,7 ათ. ლარი
 - სკოლების რეაბილიტაციისთვის 98,4 ათ. ლარი

ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში

ზრდა:

1. ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი - სუბსიდია (საწვავის ფასის მატების გამო) + 5.0 ათ.ლარი.
2. სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - არაფინანსური აქტივების ზრდა + 30.0 ათ . ლარი.
3. მერია - საქონელი და მომსახურება + 10.0 ათ.ლარი.
4. სარეზერვო ფონდი + 10.0 ათ.ლარი.
5. მამიაურის სახელობის სახელოვნებო სკოლა - სუბსიდია + 6.4 ათ.ლარი.
6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო - სხვა ხარჯები (წარმომადგენელთა კომპენსაციებისთვის) +3.0 ათ.ლარი.
7. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - საქონელი და მომსახურება + 1.0 ათ.ლარი.
8. ა(ა)იპ ზ.ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა - სუბსიდია +1,0 ათ. ლარი
9. ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრი - არაფინანსური აქტივების ზრდა + 1,5 ათ. ლარი
10. სოფლის პროგრამის თანადაფინანსება + 9,5 ათ. ლარი
11. ავადმყოფთა სოც. დაცვა - სოც. უზრუნველყოფა + 29,4 ათ. ლარი

სულ მატება: 106,8 ათ. ლარი

კლება:

1. დასუფთავების ღონისძიებები - 16,0 ათ. ლარი
2. სპეც. ტექნიკის შეძენა - 20,0 ათ. ლარი
3. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - 29,4 ათ. ლარი
4. სანიადვრე არხების მოწყობა - 9,5 ათ. ლარი
5. ა(ა)იპ ზ.ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა - არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,0 ათ. ლარი
6. ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრი - სუბსიდია - 1,5 თ. ლარი
7. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება - 26,2 ათ. ლარი
8. ვეტერანთა სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯები - 1,2 ათ. ლარი
9. სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა დახმარება - 2,0 ათ. ლარი

სულ კლება: 106,8 ათ. ლარი

შაქრო ტერტერაშვილმა იკითხა ' მერიაში საქონელი და მომსახურების " პუნქტში რატომ არის დამატებული 10.0 ათ.ლარი, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ აღნიშნული ზრდა გამოწვეულია საწვავის გაძვირების გამო.

სხვა კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს

მომხრე - 18 (ი. ქარუმაშვილი; დ.აკაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი;ლ.ვაჩეიშვილი; შ.ნოზობაშვილი; გ.ბართიშვილი;თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იხუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.განუაშვილი;)

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 11 (თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი; ლ.მუთოშვილი; გ.შორთიშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბუღაიძე; ე.ფეტვიანი; კ.მუნაური.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №15: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი საკრებულოს წევრებს: ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის დამატება სოცპროგრამის იმ მუხლში, სადაც კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით მომატებულია მომართვიანობა.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის გზით სოციალური დახმარების პროგრამის მოსახლეობის საჭიროებებისადმი მისადაგება.

პროექტის მიხედვით, ზემოაღნიშნული დადგენილების N2 დანართის (ცხრილის)

მე-3 პუნქტიდან -3000, მე-10 პუნქტიდან -4000, მე-12 პუნქტიდან -6000, მე-15 პუნქტიდან-400, მე-16 პუნქტიდან -800, მე-18 პუნქტიდან-12 000, 22-ე პუნქტიდან -1200, 24-ე პუნქტიდან-2000 ---ჯამურად 29 400 ლარის მობილიზებით შესაძლებელი გახდა იმავე დანართის პირველ პუნქტში 26 400, ხოლო მე-2 პუნქტში 3000 ლარის დამატება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.
კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს

მომხრე - 19 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი;ლ.ვანჩიშვილი; შ.ნოზობაშვილი; გ.ბართიშვილი;თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იჩუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბალაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.განუაშვილი; თ.მოზაიძე)

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 10 (შ.ტერტერაშვილი; ლ.მუთოშვილი; გ.ძორთიშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბულაიძე; ე.ფეტვიაშვილი; კ.მუნაური.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №16: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი -ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ:

შემოსულობები:

შემოსულობების ოდენობა მუნიციპალიტეტის 2022 წლისათვის განისაზღვრა 14603,9 ათასი ლარით. საიდანაც შემოსავლების ოდენობა შეადგენს 14453,9 ათას ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობის ოდენობა შეადგენს 150,0 ათასი ლარს.

შემოსავლები სახეების მიხედვით განისაზღვრა შემდეგნაირად:

საგადასახადო შემოსავლები:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 13587,9 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან(10990,3 ათასი ლარი) შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2597,6 ათასი ლარით (23,6%-ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

Ø **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11987,9 ათასი ლარით;

2021 წლის დაზუსტებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 25%-ით (2397,6 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

Ø **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1600,0 ათას ლარს;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 14,3%-ით (200,0 ათასი ლარით) იზრდება.

2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

Ø **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 170,0 ათასი ლარამდე, მათ შორის:

ü სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისარები გრანტები 170,0 ათასი ლარი;

Ø **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 500,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

ü პროცენტები 100,0 ათასი ლარი.

2021 წლის დაზუსტებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 42,8%-ით (30,0 ათასი ლარით) იზრდება.

ü რენტა 400,0 ათასი ლარი, მათ შორის : მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის განისაზღვრა 300,0 ათასი ლარით, ხოლო შემოსავლები მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 100,0 ათას ლარით.

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან(310,2 ათასი ლარი) შედარებით რენტა 28,9%-ით (89,8 ათასი ლარით) იზრდება.

Ø **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 76,0 ათასი ლარის ოდენობით, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით არ იცვლება.მათ შორის:**

ü სანებართვო მოსაკრებლები 16,0 ათასი ლარი;

ü მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 20,0 ათასი ლარი;

ü არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება.

(შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან) 40,0 ათასი ლარი;

Ø **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 120,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

ü შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 105,0 ათასი ლარი;

ü შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 15,0 ათასი ლარი;

· **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 150.0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 14603,9 ათას ლარს .2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 3134,2ათასი ლარით.აღნიშნული ზრდა გამოწვეულია დამატებ.ღირებულების გადასახადის ზრდით (2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან თან შედარებით გაიზარდა 3204,4 ათასი ლარით,ხოლო 2021 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით გაიზარდა როგორც შემოთ აღინიშნა*2397,6 ათასი ლარით*).

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა თანამშრომელთა ხელფასის ზრდა

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

Ø **ინფრასტრუქტურის განვითარება - 1881,0 ათასი ლარი; მათ შორის:**

ü **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 450,0 ათასი ლარი;

რომელიც მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას

- ჯვარბოსელის ხიდის მოწყობა - 100,0 ათ. ლარი;
- ტექნიკური ზედამხედველობა - 110,0 ათ. ლარი
- რეგ. პროექტების თანადაფინანსება - 175,0 ათ. ლარი;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 20,0 ათ. ლარი

მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 45,0 ათ. ლარი

ü **წყლის სისტემების** განვითარება -809,3 ათასი ლარი;

ü რომელიც მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

- ტექნიკური ზედამხედველობა - 25,0 ათ. ლარი
- რეგ. პროექტების თანადაფინანსება - 20,0 ათ. ლარი;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 15,0 ათ. ლარი
- სოფელ საკობიანოს ჭაბურღილის მოწყობა - 70,0 თ. ლარი
- სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია 204,0 ათასი ლარი
- ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლაპატრონობის ცენტრის სუბსიდია-455,3 ათასი ლარი

გარე განათება - 569,2 ათასი ლარი;

რომელიც მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 310,0 ათასი ლარი
- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურის სუბსიდია 259,2 ათასი ლარი.

ü **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თანადაფინანსებისათვის - 23,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული სოფლის მოსახლეობა.

Ø **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1741,9 ათასი ლარი; მათ შორის:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, და გარემოს დაცვითი ღონისძიებები. როგორცაა:

- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის სუბსიდია 900,0 ათასი ლარი
- ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის სუბსიდია 361,6 ათასი ლარი
- ა(ა)იპ ტყეპარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრის სუბსიდია 250,3 ათასი ლარი
 - სანიაღვრე არხების მოწყობა 80,0 ათასი ლარი. მშ. ტექნიკური ზედამხედველობა - 2,5 ათ. ლარი. აქედან:
 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 2,5 ათ. ლარი
 - სოფელ მატანიში სანიაღვრე არხების მოწყობა - 75,0 თ. ლარი
- სპეციალური ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა 50,0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტექნიკის კაპიტალური რემონტი.
- სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა 100,0 ათ. ლარი, საიდანაც ტექნიკური ზედამხედველობა - 3,5 ათ. ლარია
 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი - 2,5 ათ. ლარი
 - მდინარე ილტოსა და მდინარე ალაზანზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა - 94,0 თ. ლარი

Ø **განათლება - 3204,8 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრის სუბსიდია 2954,8 ათასი ლარი
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია 250,0 ათასი ლარი

Ø

Ø **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2099,6 ათასი ლარი მათ შორის:**

სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა - 1008,5 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ

და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. აღნიშნულის პროგრამის ფარგლებში გამოიყო:

- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის სუბსიდირებისათვის 495,1 ათასი ლარი
- ა(ა)იპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის სუბსიდირებისათვის 247,0 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონის“ სუბსიდირებისათვის 195,4 ათასი ლარი
- მუნიციპალური სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის 31,0 ათასი ლარი
- კაპიტალური დაბანდები სპორტის სფეროში 40,0 ათასი ლარი

კულტურის განვითარების ხელშეწყობა 947,5 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოიყო:

- ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირებისათვის 537,6 ათასი ლარი
- ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანების სუბსიდირებისათვის 180,7 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის სუბსიდირებისათვის 229,2 ათასი ლარი
- საინფორმაციო ცენტრის სუბსიდირებისათვის 64,6 ათასი ლარი.
- ახალგაზრდობის მხარდაჭერა პროგრამა განხორციელებისათვის, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდობის ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. 79,0 ათასი ლარი

Ø ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1211,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 94,6 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

· სოციალური პროგრამები - 1117,2 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა -340,2 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება -193,6 ათასი ლარი;
- სტიქიური უბედურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება- 10,0 ათასი ლარი.
- მოსახლეობის ტრანსპორტის მომსახურების პროგრამა -25,0 ათასი ლარი;
- ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა -12,9 ათასი ლარი
- წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების პროგრამა 40,0 ათასი ლარი.

Ø მმართველობა - 4464,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- საკრებულოს დაფინანსება - 896,6 ათასი ლარი;
- მერია - 2948,3 ათასი ლარი;
- სამხედრო აღიციხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯები-160,5 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 200,0 ათასი ლარი;
- წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა-4,5 ათასი ლარი
- სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის დასაფარი თანხა და ვალის მომსახურება 248,7 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 156,7 ათასი ლარი და პროცენტი - 90,0
- შესყიდვებთან და აუქციონებთან დაკავშირებული ხარჯები 6,2 ათასი ლარი.

შაქრო ტერტერაშვილი დაინტერესდა რამ გამოიწვია ის, რომ 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან(310,2 ათასი ლარი) შედარებით რენტა 28,9%-ით (89,8 ათასი ლარით) იზრდება.

მომხსენებელმა განუმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებიდან არის მოსალოდნელი შემოსავლები, შესაბამისად გაიზრდება რენტა.

სხვა კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს

მომხრე - 18 (ი. ქარუმაშვილი; დ. ავაზაშვილი; გ. ონიაშვილი; გ. ქიბროწაშვილი; ლ. ვაჩეიშვილი; შ. ხოხობაშვილი; გ. ბართიშვილი; თ. ყეინიშვილი;

თ. ბორჩაშვილი; ხ.იხუაიძე; გ.შაშიაშვილი; ვ.მამულაშვილი; ზ.უძილაური;
ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.განუაშვილი;)

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 11 (თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი;
ლ.მუთოშვილი; გ.შორთიშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ.
შიომღვდელიშვილი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბუღაიძე; ე.ფეტვიამშვილი; კ.მუხაური.)

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №17:
„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;“**

**მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური
დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი საკრებულოს წევრებს:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება დანართისაგან, რომელიც მოიცავს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამას, სადაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადა (2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით), დაფინანსების წყარო, სოციალური ჯგუფები, სოციალური დახმარების ოდენობა, გაცემის წესი და დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია.

პროგრამის მიხედვით, სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

ა) ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ცერებრალური დამბლით დაავადებული და სხვა ფსიქომოტორული და მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვები;

ბ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქოტროპული მედიკამენტების მიძღები პირები;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 80 000-მდე, მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (18 წლამდე);

ე) უდემამო ბავშვები (18 წლამდე);

ვ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად მცხოვრები პირები;

ზ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრები ოჯახები/პირები;

თ) 95 წლის ასაკს გადაცილებული პირები;

ი) ოჯახები პირველი და მეორე ბავშვის შექმნის შემთხვევაში, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა;

კ) უპატრონო მიცვალებული;

ლ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები;

მ) უსინათლოები;

ნ) ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები; (ბავშვის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად)

ო) დაუნის სინდრომის მქონე პირები;

პ) აუტისტური სპექტრის მქონე პირები;

ჟ) ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები (რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად).

რ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარების მიმღები, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, ეკონომიკურად გაჭირვებული ან სოციალურად დაუცველი ფიზიკური პირები და ოჯახები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საძიწნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზნების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან;

ს) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები;

ტ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე შშმ პირები;

უ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები;

ფ) გარდაცვლილ ომის ვეტერანთა ოჯახები;

ქ) სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები;

ღ) პირები, რომელთა საცხოვრებელი სახლი ხანძრის შედეგად დაზიანდა;

ყ) ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირები;

შ) მწოლიარე ავადმყოფის (ლოგინს მიჯაჭვული) და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირები ;

ჩ) დიაბეტით და ფერმენტოპათიით დაავადებული ბავშვები 18 წლამდე;

ც) ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლის“ უფასო კვების ობიექტების ბენეფიციარები

სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებს დაემატა:

მწოლიარე ავადმყოფის (ლოგინს მიჯაჭვული) და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირები ;

დიაბეტით და ფერმენტოპათიით დაავადებული ბავშვები 18 წლამდე;

მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვები;

შეიცვალა დაფინანსების წესი და განისაზღვრა შემდეგნაირად, გადასახდელი თანხის 50 %-ით, წელიწადში არაუმეტეს 1000 ათასი ლარით დაფინანსდება ყველა მოქალაქე; მოქალაქის მიერ 500 ლარამდე გადასახდელი თანხის შემთხვევაში 100 % -ით დაფინანსდება მხოლოდ ის ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 120 000 - მდე, ხოლო მოქალაქის მიერ 300 ლარამდე გადასახდელი თანხის შემთხვევაში აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს მხოლოდ ის ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არის 120 000-მდე.

გელა შაშიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება გადაიხედოს პროექტში მოხსენიებული ტერმინი „მწოლიარე (ლოგინს მიჯაჭვული)“ და შეიცვალოს ტერმინით „გადაადგილების უნარს მოკლებული“. რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ამ ტერმინთან დაკავშირებით კონსულტაცია გავლილი აქვს მუნიციპალიტეტის მერიის იურისტებთან და მათთან შეთანხმებით ჩაწერეს ტერმინი პროექტში.

სხვა კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს;

მომხრე - 18 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი;ლ.ვანგიშვილი; შ.ნოზობაშვილი; გ.ბართიშვილი;თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.ინუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 1 (შ.ტერტერაშვილი)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 10 (თ.მოზაიძე; შ. ტერტერაშვილი; გ.შორთიშვილი; ლ. მუთოშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბულაიძე; ე.ფეტვიანი;)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №18 : „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ;“

სხდომა დატოვა კარლო მუხაურმა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - დავით აბულაძე /

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზნები არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოების ზრდის აუცილებლობა, რათა შემცირდეს კვალიფიციური კადრის გადინება საჯარო სექტორიდან და საჯარო სექტორი კერძო სექტორთან მიმართებაში განდეს უფრო მეტად კონკურენტული.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილების ცვლილება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკუთარი უფლებამოსილებები, საჯარო მოსამსახურეთა მოტივაციის ზრდით.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს;

მომხრე - 18 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი;ლ.ვანგიშვილი; შ.ნოზობაშვილი; გ.ბართიშვილი;თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.ინუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 3 (შ.ტერტერაშვილი; ლ.მუთოშვილი; თ. მოზაიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 7 (გ.შორთიშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბულაიძე; ე.ფეტვიანი;.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №19: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლევან ვაჩიშვილმა დატოვა სხდომა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი

სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გელა შაშიაშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების აუცილებლობა გამოწვეულია საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებისათვის სარგოს ოდენობების გაზრდით. სარგოების ოდენობების განსაზღვრულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრული ზედა ზღვრის კოეფიციენტისა და საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით.

სარგოების ცვლილება აისახება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხრე - 27 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; მ.ხოხობაშვილი; გ.ბართიშვილი; თ.ყეინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ნ.იჩუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი; თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი; გ.შორთიშვილი; ლ. მუთოშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბუაიძე; ე.ფეტვიაშვილი;)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №20 : „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანჟინებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა, რომ დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების რიცხოვნობის გაზრდით. კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების შედეგად, ახალარჩეული საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ორი მოადგილე, საკრებულოში შექმნილი ფრაქციების თავმჯდომარეების 9 მოადგილე, შესაბამისად, ცვლილებები შეტანილ უნდა იქნეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 დადგენილების დანართში.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას, - თანამდებობის პირთა დამატებული რაოდენობის პროპორციულად.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს

მომხრე - 17 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; შ.ხოხობაშვილი; გ.ბართიშვილი; თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იჩუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბალაკაშვილი; ბ.კაიშვილი; წ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 1 (გ.შორთიშვილი)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 9 (თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი; ლ. მუთოშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბუღაიძე; ე.ფეტვიანი;.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №21: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების აუცილებლობა გამოწვეულია საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების რიცხოვნობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობების გაზრდით. კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების შედეგად, ახალარჩეული საკრებულოს შემადგენლობაში პოლიტიკური თანამდებობის პირების არიან საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ორი მოადგილე, საკრებულოს 5 კომისიის თავმჯდომარეები, 2 ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციების თავმჯდომარეების 9 მოადგილე.

სარგოების ოდენობების განსაზღვრულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და ამავე კანონის №4 დანართის №4.2 ცხრილით განსაზღვრული კოეფიციენტისა და საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით (ზღვრული კოეფიციენტის ფარგლებში).

სარგოების ცვლილება აისახება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს

მომხრე - 18 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; შ.ხოხობაშვილი; გ.ბართიშვილი; თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იჩუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბალაკაშვილი; ბ.კაიშვილი; წ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი; გ.უძილაური;)

წინააღმდეგი - 9 (თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი; გ.შორთიშვილი; ლ. მუთოშვილი; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბუღაიძე; ე.ფეტვიანი;.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №22: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა

სარგოების დამტკიცების შესახებ.“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2, 2.1 და 2.2 პუნქტების, 30.1 მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

- ა) იურიდიულ საკითხთა კომისია - 8 წევრი;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 8 წევრი;
- გ) ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - 8 წევრი;
- დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - 8 წევრი;
- ე) სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია - 9 წევრი.

2. საკრებულოს თითოეულ კომისიაში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს სამი მეხუთედისა (3/5);
- ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს ორი მეხუთედისა (2/5);
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, შესაბამისი კომისიის წევრი ხდება პირადი განცხადების საფუძველზე, - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30.1 მუხლის 2.2 პუნქტით დადგენილი წესით.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

მომხრე - 17 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; შ.ხობობაშვილი; გ.ბართიშვილი; თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.ინუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; მ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 10 (თ.მოზაიძე; შ. ტერტერაშვილი; გ.მორთიშვილი; ლ. მუთოშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; კ.მაზიაშვილი; ს.ბაბულაიძე; ე.ფეტვიანი;)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №49:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს ცნობის სახით გააცნო საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობები, რაც საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13:30 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

